# ცნობის ფურცელი

№ 2356 ხუთშაბათი, 18 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2356

**გაზეთის ფასი**: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

წარმ. 29. აბონემენტი № 9.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

## მ ე დ ე ა

დრამა 4 მოქ. 5 სურათად სუვორინისა და ბურენინისა თარ. დ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. დავითაშვილი, მ. ძღვანი, ნებიერიძე, ნ. ჩხეიძე: ბ-ნნი: დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

**ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 19 დეკემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

## მ ა ზ ე პ ა

ოპერა 3 მოქმ. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ფერტიგ, სელიუკ; ბ-ნნი: დარსკი, ილიუშჩენკო, ამირჯან, ევლახოვი, გავრილოვი,

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი პოზენი.

ანონსი: 20 დეკ.—„იოლანტა", საკონც. განყოფ. და ბალეტი. 21 დეკ.—„კამორრა". (ნ.)

**1904 წელს**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ი ვ ე რ ი ა"

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ. ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა"** („Воскресеніе").

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.

**ხელის-მოწერა მიიღება** ტფილისში:—„ივერიის" რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, редакція „Иверія". (3—2)

**ნამდვილი თეთრი ცელულიარული აბრეშუმის ბრენა**

ბაღდადის ჯიშისა, თითო კოლოფში ექვს-ექვსი მისხალი

## ძმ. პ ა ს ხ ა ლ ი დ ი ს.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ა. კ. ზახარიადისი**

ადრესი: დვორცოვი ქუჩა, სარაჯევის სახლი, სადგომის № 6. (10—3)

**ტ ფ ი ლ ი ს ი ს**

## კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

**ვ. ჭიჭინაძე**—კბილისა, 8—10 საათამდე.

**ლ. ივ. კამოევი.**—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

**ნ. ტ. მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

**ვ. დ. ლამბაშიძე.**—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

**ლ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**გრ. მ. სობოლევსკი.**—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ-1—2 საათამდე.

**ვ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და ვავშვების, კვირაობით 10—12.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ა. გ. მაღალაშვილი.**— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

**სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი**

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან **ხუთამდე**.

**ადრესი:** კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) **სახლი აბრამოვისა, № 9,** მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

**ტფილისის დურგალთა ამხანაგობის გამგეობა აცხადებს** თანახმად წესდების მესამე მუხლისა, რომ ამა წლის 20 დეკემბრიდან გაიმართება (მიხეილის ქუჩა, სახლი ექიმის კარაპეტიანცისა)

**„ავეჯეულებათა გამოფენა"**

წევრთა მიერ გაკეთებულ ავეჯთა გასასყიდად და შეკვეთილების მისაღებად, რამაც გამოიწვია ქარხნისა და სავაჭროს გაფართოვება. ამისათვის ვიწვევთ წევრებს საამხანაგო ქარხანაში სამუშაოთა და გამოფენაშიც მონაწილეობის მისაღებად. ვისაც საწევრო გადასახადი შესრულებული არა აქვს, ვსთხოვთ დააჩქარონ მისი შემოტანა. ფულის ნაცვლად, თანხმად წესდების 14 და 15 მუხლებისა, იარაღი და ავეჯეულობაც მიიღება.

**ე ქ ი მ ი**

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46 წლ.

**კბილის ექიმი**

## ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

**კბილის ექიმი**

## ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

## საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

### შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ინგლისურ გაზეთებს კიდევ მოჰსვლიათ ასაღელვებელი ამბები შორეულ-აღმოსავლეთიდან. „დეილი პოსტ"-ს ვაშინგტონიდან ცნობა მიუღია, იაპონია მდინარე იალუზე ტყის კონცესიების გაუქმებას თხოულობს (ეს კონცესიები რუსებს აქვთ აღებული). თუმცა ეს კონცესიები ვითომ კერძო კაცებს აქვთ აღებული, მაგრამ ამ კონცესიების საბუთით რუსეთს მაინც შეუძლიან მდინარე იალუს შესართავში სიმაგრეებიააშენოს და ზღვაში ნაღმები ჩააწყოს.

იგივე გაზეთი იუწყება, ბრიტანიის მთავრობამ უფრო ბეჯითი მონაწილეობა მიიღო შორეულ-აღმოსავლეთის საქმეშიო.

„დეილი ტელეგრაფ"-ი სწერს: ხმა დადის, რუსეთმა დიდი ფასი შეაძლია ორ ჯავშნიან გემში, რომლებიც სპეციაში არგენტინისათვის ააგესო.

ამავე გაზეთს შემდეგი ცნობები მიუღია ნაგასაკიდან: იაპონიის რკინის გზებს ბრძანება მოუვიდათ, მოემზადენით, მალე 70 ათასი ჯარის-კაცი იაპონიის სამხრეთ ნაწილში უნდა გადაიყვანოთო. იაპონიის სამხრეთ-ზღვაში 40 საბრძოლველად დამზადებული გემი დგას. იაპონია ნაწილ-ნაწილად ჯარსა ჰგზავნის კორეიას; ეხლა იქ (კორეიაში) კარგა ბლომად ჯარი შეჰყარა.

„დეილი მეილ"-ს ატყობინებენ ჰონგკონგიდან: ბრიტანიის ესკადრამ სურსათის ყიდვას დაუჩქარა. ეტყობა, დაუყოვნებლივ ზღვაში გასვლას აპირებს.

იმავ გაზეთს ატყობინებენ სინგაპურიდან: ხმელთა-შუა ზღვის ინგლისის ესკადრას ბძანება მოუვიდა, სამი ჯავშნიაში გემი და ერთი კრეისერი ჩინეთში წასავსლელად დაემზადნენო. იაპონური პრესა ტოკიოში იმ აზრისაა, რომ მორიგების იმედი აღარააო.

„სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტო"-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „12 დეკემბერი. დღეს გერმანული გაზეთები საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას არჩევენ და აღნიშნავენ, რომ შორეულ-აღმოსავლეთის საქმე შავის, სეტყვის ღრუბლივით აბნელებს პოლიტიკურ ცასაო. არა თუ მარტო რუსეთისა და იაპონიისათვის, ეს საქმე მთელის ქვეყნიერობისათვისაც საშიშიაო, რადგან ამ საქმემ, შეიძლება, სულ ძირეულად შესცვალოს დიდ სახელმწიფოების ურთიერთობაო. გაზეთები იუწყებიან: იაპონიას განზრახვა აქვს, კორეია დაუყოვნებლივ დაიჭიროს და იქ 6 დიდი კრეისერი გაჰგზავნოს. „ლოკალ ანცაიგერ"-ს ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ: იაპონიის საპასუხო ნოტა მეტად კილოზე როდია დაწერილი. ეგაა, ნოტაში იაპონია სთხოვს რუსეთს, ყოველი გარემოება კარგად აწონ-დაწონეთ და გადაჭრილი პასუხი, რაც შეიძლება, მალე შეგვატყობინეთო.

გერმანულ გაზ. „ნაციონალ ცაიტუნგ"-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: „7 დეკემბერი. შორეულ-აღმოსავლეთის საქმე ეხლა თვით რუსეთის მთავრობის წრეებსაც-კი საშიშ საქმედ მიაჩნიათ, მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ ომის თავიდან აცილება კიდევ შეიძლება. ყურადღების ღირსია, რომ აქამდე ზამთარში ომი შეუძლებლად მიაჩნდათ, ეხლა კი ამბობენ, ვინ იცის, იქნება ზამთარშიაც მოხდეს ომიო. აქ ჰფიქრობენ, რომ ომის საქმე ორის კვირის განმავლობაში გადაწყდებაო. მომავალ თვის ნახევრამდე შორეულ-აღმოსავლეთში რუსეთი ჯარსა და ფლოტს იმდენად გააძლიერებს, რომ, არა მგონია, იაპონიამ ომი დაიწყოს. თითონ რუსეთი-კი ომს არას დროს არ დაიწყებს. აქაური სამხედრო წრეები ჰფიქრობენ, იაპონია კორეიაში ჯარს გადაიყვანს და რუსეთი ამ საქციელს 1896 წლის კონვენციისა და სხვა ხელ-შეკრულობათა დარღვევად ჩასთვლის და ძალაუნებურად ომს გამოუცხადებს იაპონიასაო.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: აქაურ პოლიტიკოსთა წრეები დარწმუნებულნი არიან, რუსეთმა კორეის საქმეში რომ დაუთმოს რამე, იაპონია მერე უფრო მეტს მოითხოვსო.

გერმანული გაზ. „ნოიე ფრაიე პრესე"-ს იმედი აქვს, შორეულ-აღმოსავლეთში ომი არ მოხდება, რადგან რუსეთი საომრად მომზადებული არააო.

### იაპონიის წინადადება კორეის თაობაზე

„ბერლინერ ლოკალ-ანცაიგერ"-ს ტოკიოდან ამნაირი კერძო დეპეშა მოჰსვლია: „9 დეკემბერი, იაპონიის მთავრობამ თავის ელჩებს ევროპაში წინადადება მისცა, ყველა სახელმწიფოს მთავრობას შეატყობინეთ, რომ კორეის საქმეში იაპონია თავის ეროვნულ თავ-მოყვარეობის დაკმაყოფილებას სულაც არა ჰფიქრობსო. მიკადოს რომ „კორეის პროტექტორის" წოდება მიიღოს,—ეს ყველასათვის სასარგებლო იქნებოდა. იაპონიას კორეიაზე ისეთისავე უფლების მოპოვება უნდა, როგორც საფრანგეთს თუნისში აქვს. იაპონიას რომ კორეიაზე პროტექტორატის უფლება მიეცეს, ყველა სახელმწიფო თავისუფლად ივაჭრებს კორეიაშიო.

## ახალი ამბავი

◆ მდგომარე წლის პირველ აპრილს მიწათ-მოქმედების მინისტრმა დაამტკიცა **წესები სახალხო კითხვების გამართვისა** ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად. ეხლა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში თავის ხელქვეით აგრონომებს მოსთხოვა ცნობები იმათ შესახებ, რომელთაც შეიძლება მიენდოთ სახალხო კითხვების გამართვა.

◆ ამ ორის დღის წინად მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა კავკასიის **საფილოქსერო კომიტეტს**. კომიტეტმა განიხილა ხარჯთ-აღრიცხვა და აგრეთვე შეიმუშავა გეგმა ფილოქსერასთან ბრძოლისა მომავალ ზაფხულს.

◆ გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის გამგეობისა და ქალაქის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიის შეერთებულმა კრებამ განიხილა **პროექტი სავალდებულო დადგენილებათა** ტრამვაის გზების შენახვისა და ამ გზებით მიმოსვლელთათვის. შინაარსი დადგენილებათა გაკვრით უკვე ვაცნობეთ მკითხველებს. კრებამ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი შეუცვლელად მიიღო და დაადგინა საბჭოს წარუდგინოს განსახილველად.

◆ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში ახლად დანიშნული **ეპისკოპოსი დიმიტრი** 14 დეკემბერს ბათუმში ყოფილა და მეორე დღეს ისევ ფოთს დაბრუნებულა. ბათუმში ყოფნის დროს ეპისკოპოსი დიმიტრი სხვათა შორის, „ჩერნ. ვესტ." რედაქციასაც სწვევია.

◆ გუშინ ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში. ხმოსანი სთხოვს, წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს, ამოირჩიოს 5 ხმოსნისაგან განსაკუთრებული კომისია და დაავალოს იმას **ახალ საყასბოს აშენება.** როგორც ვუწყით, ქალაქის თვით-მართველობამ ამ რამდენისამე დღის წინად უკვე მიიღო ნებართვა სესხის აღებისა საყასბოსთვის. 800 ათასს მან. სესხის ობლიგაციების განაღდებას გამგეობა უკვე შეუდგა.

◆ კვირას ერევნის გუბერნიაში მიემგზავრება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანი ბ-ნ ი. იოსელიანი სან-ლუის **საერთა შორისო გამოფენისათვის** კოლექციების შესაკრებად.

◆ გუშინ-წინ მთაწმინდის გორაზე, ხევში, პოლიციელებმა ჰნახეს **გვამი ვიღაც კაცისა**, რომელიც, ეტყობა, მოუკლავთ და შემდეგ ხევში გადაუგდიათ. ვინაობა მოკლულისა და აგრეთვე მიზეზი ბოროტ-მოქმედებისა ჯერ-ჯერობით ვერ გამოარკვიეს.

◆ 15 ნოემბერს მოხდა **„ტფილისის კრუჟოკ"-ის** წევრთა წლიური კრება. როგორც ანგარიშიდანა სჩანს, „კრუჟოკს" წლის განმავლობაში შემოსვლია 85,653 მ. 20 კაპ., ხარჯი ყოფილა 65,954 მ. 27 კ. მარტო საწევრო ფული „კრუჟოკს" მიუღია 32,745 მან.

◆ ამას წინად ტფილისის **გუბერნატორმა მოსთხოვა** ქალაქის გამგეობას ანგარიში ქალაქის თვით-მართველობის მოქმედებისა 1901 წელს. გუშინ გამგეობამ აცნობა გუბერნატორს, რომ ეს ანგარიში მალე გადაეცემა განსახილველად საბჭოს და მერე თქვენ წარმოგიდგენთო.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს **ხორცის დუქნების** სავარაუდო აღრიცხვა 1904 წლისათვის. ქალაქის დუქნების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მომავალ წელს საჭირო იქნე

ბა 804 ათასი ფუთი ხორცი. კომისიის ანგარიშით, ქალაქის დუქნებისაგან შემოუვა 419,878 მან. ხარჯიც ამდენი იქნება.

◆ ტფილისის **სამხატვრო სასწავლებლის** დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა სამხატვრო სასწავლებელში სპეციალ კლასების გაფართოვებისა და საზოგადო განათლების კლასების შეზღუდვის შესახებ. დღეს მოსწავლე სპეციალ კლასებში რჩება ოთხ წელიწადს, საზოგადო განათლების კლასებში კი—ექვსს. დირექტორს უთხოვნია, სპეციალისთვის ექვსი წელიწადი დაწესდეს, საზოგადო განათლებისთვის-კი —ოთხი.

◆ გუშინ ტფილისის პოლიცმეისტერმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გადასდონ საჭირო ფული ისარლოვისა და სემიონოვის ქუჩების მოსაკირწლავად.

◆ გუშინ ერთმა სოლოლაკელმა შეატყობინა წერილით ქალაქის მოურავს, რომ ამაღლების ქუჩის ზემოდ მცხოვრებნი მიცკევიჩი და სუვორინი სახლების ასაშენებლად დიდძალ მიწასა და ქვას სთხრიან რადგანაც მათ ქვისა და ქვიშის გასატან ხარჯის გაწევა არ უნდათ, ქვასა და ქვიშას ჰყრიან სასიარულო გზაზე და იქვე ხევშიო. ქალაქის მოურავმა ეს განცხადება გუშინვე გადასცა ქალაქის საამშენებლო განყოფილებას, რომ მიცკევიჩსა და სუვორინს ხევში მიწის ჩაყრა აუკრძალოს.

—

დღევანდელ №-თან ხელისმომწერთ ეგზავნებათ დამატების მე-177 №, რომელშიაც მოთავსებულია: ლევ ტოლსტოის ლეგენდა; სურათები აფხაზეთის ცხოვრებიდან და 2 კარიკატურა.

## რუსეთის ქრონიკა

◆ რუსეთის ქალთა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოებას საბოლაოდ შეუმუშავებია პროგრამა სრულიად რუსეთის მოღვაწე ქალთა მომავალ კრებისა. ამ კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცემა მხოლოდ იმ ქალთ, რომელნიც მუდმივად რუსეთში სცხოვრებენ.

◆ ხარკოვის საგუბერნიო საერობო კრებას დაუდგენია, აღძრად შუამდგომლობა, რომ სამაზრო ერობათა და სამზრუნველო საბჭოთ მიეცეთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ გიმნაზიებისათვის მასწავლებლის დანიშვნის საქმეში. (რუს. ვედ.").

◆ „დონსკაია რეჩ"-ში დაბეჭდილია ტაგანროგის პოლიცმეისტრის შემდეგი განკარგულება: „რადგან ტაგანროგის მთავარ ქუჩებში მოსეირნენი ხშირად უმსგავსოდ იქცევიან და ამასთანავე უმსგავსოთა შეპყრობის დროს საზოგადოება პოლიციის მოხელეთ წინააღმდეგობას უწევს და ხშირად ამათ წინააღმდეგ ძალმომრეობასაც იჩენს, ამისთვის ვუცხადებ პოლიციის მოხელეთ, სასტიკად ადევნონ თვალ-ყური მოსეირნე საზოგადოებას და ყველა დამნაშავე პასუხისგებაში მისცენ. პოლიციის მოხელეთათვის წინააღმდეგობის გაწევისა გამო შეადგინონ ოქმები და წარმომიდგინონ. ყოველი გაუფრთხილებელი და უზრდელი საქციელი პოლიციელისა (გაუნათლებელ კაცისა) აღშფოთებს საზოგადოებას და მითქმა-მოთქმას იწვევს. ეს მაშინ, როდესაც თვით საზოგადოება დაურიდებლად ეპყრობა პოლიციელთ და ხშირად სცემს კიდევაც. არ შემიძლიან დავსთმო, რომ ჩემდამო რწმუნებულ პოლიციელთ სცემდნენ და ამ დროს საზოგადოებიდან არც ერთი დახმარებას არ უწევდეს. მე ვთხოულობ, პოლიციელებმა არავის არ მისცეს ნება შეურაცხჰყოს ისინი, და ნებას ვაძლევ გაჭივრების დროს იარაღს მიჰპართონ.

◆ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, რვა თვით შეჩერებულია ლატიშური გაზეთი „დეენას ლაპა", რომელიც რიგაში გამოდიოდა.

◆ რამდენსამე სომეხ კაპიტალისტს გადაუწყვეტია, დააარსოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, რომლის მთავარი გამგეობა პარიზში იქმნება. ჯერ-ჯერობით ძირითად თანხისათვის ცხრა მილიონი მანეთი აქვთ თურმე.

## „კვალის" დუხჭირი „ნედოროსლები"

იმედია, მკითხველს არ დავიწყებია ის წერილები, რომლებიც ამას წინად დავსტამბე „ცნ. ფურცელში" ოჯახისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ. უკანასკნელი წერილები თუმცა გამოწვეული იყო ბ-ნ ევირილელის „კრიტიკით", მაგრამ მე პოლემიკას სულ მცირე და უმნიშვნელო ადგილი დავუთმე, კამათს პირადი ხასიათი სრულიად ჩამოვაცალე,—საგანი თეორიის სფეროში გადავიტანე და, შეძლების დაგვარად, ობიექტიურად გავარკვიე და განვმარტე. არც ერთ წერილში მკითხველისთვის თავი არ მომიბეზრებია „კვალელ" მოკამათესთან საპოლემიკო კინკლაობით და ყველგან, ჩემის შეხედულებისა და ცოდნის კვალობაზე, ვლაპარაკობდი მეცნიერულის ფაქტებით და საბუთებით. მაგრამ მე მაინც დღეს მკითხველთან ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ეხლანდელ „კვალის" რედაქციის შენიშვნა და აზრი ყურადღების ღირსად ჩავთვალე და მის გამო წერილები ვწერე და მსჯელობა გავმართე. ამით მე,—საჯაროდ ავღიარებ,—ჩემს თავს მივაყენე შეურაცხყოფა და ფაქიზ მკითხველს ესტეტიური უსიამოვნება. ის ჭურჭელი, რომლის „აზრსაც" მე შევეხე, ისეთი სიდუხჭირით და სიმდაბლით ყოფილა აღსავსე, რომ არა თუ შეხებით, დანახვითაც კი ზიზღის მომგვრელი და გულის ამრევი არის. ამის უტყუარ საბუთს ეხლავე მოგახსენებთ.

„კვალის" უკანასკნელ ნომერში (33) პირველ ადგილას დაბეჭდილია რედაქციის (უსხელო) „კვირიდან კვირამდე", რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგ მარგალიტებს ამოიკითხავთ: „მოქალაქობრივი გაბედულობა ისევ ფ. გოგიჩაიშვილს აქვს. მას იმდენი გაბედულობა აქვს, რომ გუშინდელ ნათქვამს დღეს სულ მტვრათ აქცევს, ამას ის გაბედულათ, აშკარათ ჩადის „ცნობის ფურცლის" ფურცლებზე შაბათობით. რასაც ერთ შაბათს დასწერს, იმას მეორე შაბათს შლის... „ლეიფციგის" უნივერსიტეტმა რომ გოგიჩაიშვილის ამბავი გაიგოს, მაშინვე ეტყვის, არა გრცხვენია მაგგვარ ხერხით სარგებლობაო. მეც ვეტყვი ბ. გოგიჩაიშვილს, რომ თუ ასეთ ხერხს თავი არ დაანება, მას უკამათოთ გამარჯვებას დაულოცავენ, ვინაიდან ეს მისი ხერხები ნაკლებათ სასახელოა. თუმც ეს ასეა, მარა დღეს დღეისობით გოგიჩაიშვილს და მის აზრებს გასავალი აქვს. ფილისტერების ერთ ჯგუფს (აი ისეთებს, რომლებმაც შექმნეს გოგიჩაიშვილისებური აზროვნობა, წვრილ ვაჭრუკა-მესაკუთრეებს, და საზოგადოთ, წვრილ ბურჟუებს) განუზრახავს დიდი ალბომი მიართვას გოგიჩაიშვილს ძღვნათ და საჩუქრათ. ალბომში იქნება რიგ-რიგათ დახატული: „ქალი და კაცი იკოცნებიან", ქალი და კაცი ერთათ", „ოჯახი", საზოგადოება, „საზოგადო საქმე" და ვინ იცის კიდევ რა. დეპუტაციათ დამა-კავალრები იქნებაო. ლანჩხუთლებიც დიდ მზადებაშია თურმე, უნდა თავის ღვიძლი შვილი დააჯილდოვოს ძვირფასი რამეებით. საქმეს მეთაურობს გაბრიელ გოგიჩაიშვილი—მოღვაწე საზოგადო: მან წარმოშობა ფილიპე, კაცი ფრიად სტატისტიკოსი, ეკონომისტ-პოლიტიკოსი და მეტად კოსი".

აი, ასეთი მასხარები სხედან იმ რედაქციაში, რომლის აზრსაც მე, დაუფიქრებლობით, ყურადღება მივაქციე და სერიოზული კამათი გავუწიე. ასე ესმით „კვალის" კლოუნებს მეცნიერული მსჯელობა და აზრის დასაბუთება, საზოგადოებრივი ზრდილობა და ლიტერატურული ზნეობა. და იცით, ვინ არის მთელი ამ უტიფრობის დამწერი? ჭაბუკი, რომელსაც თავის დღეში ჩემთან არავითარი დაახლოვება,—არც მეგობრობა, არც ახლო ნაცნობობა არ ჰქონია, რომ მისთვის ოდესმე უფლება მიმეცეს, ისე უცერემონიოდ მომიხსენიოს, როგორც მას მოესურვება. უვიცს, რომელსაც ქართულადაც-კი წინადადებაში შესმენილი ქვემდებარესთვის ვერ შეუთანხმებია, სასაცილოდ ვეჩვენები იმით, რომ სწავლა ლეიპციგის უნივერსიტეტში დამისრულებია და, როგორც თვითონ ამბობს ცოტა ქვევით, „სტატისტიკის დოხტურობა" მიმიღია. უზრდელი, რომელსაც ზრდილობის სკოლა გორკის ტიპებისთანა ნაძირალებთან გაუვლია, ჰფიქრობს, რომ ზრდილობა ფართო საზოგადოებაშიაც არ მოეთხოვება. მთელ თავის აბდა-უბდა მასხარობაში ყველგან „გოგიჩაიშვილობით" და, ასე გასინჯეთ, „ფილიპე"-ობით მიხსენიებს, თითქოს მე მისი ამხანაგი, ან ნათესავი ვიყო და ჩემი გვარის ხსენება ისევე ზრდილობიანად არ ევალებოდეს, როგორადაც მე ევირილელს ყოველთვის „ბ-ნ" ევირილელად ვიხსენიებ ხოლმე.

დიაღ, „კვალის" კლოუნმა ზრდილობისა და მართებულობის არა იცის რა, როგორადაც არაფერი იცის მეცნიერებისა და ქართულ გრამატიკის. მას თავის სიცოცხლეში უსწავლია მხოლოდ კბილების ღრეჭა და შეუთვისებია ყოველ სირცხვილს მოკლებული უტიფრობა. იგი დასცინის ჩემს სახელს, გვარს, დასცინის იმ სოფელს, სადა მე დავბადებულვარ და გავზრდილვარ. მაგრამ მისი უტიფრობა აქ არ ჩერდება. იგი სასაცილოდ და მასხარად იგდებს ჩემს მოხუც მამას, რომელსაც, მუდამ თავის მრევლში მცხოვრებს, მასთან არას დროს არავითარი კავშირი და ურთიერთობა არ ჰქონია. დასცინის და აგდებულად იხსენიებს მოხუცს, თითქოს ეს მისი არ

# ფელეტონი

### აფხაზეთში

### სოხუმიდან გაგრამდე

(მგზავრის შენიშვნები)

(შემდეგი *)

უკანასკნელი მთავარი აფხაზეთისა.— აფხაზთა ამბოხება 1864 წელს.

აფხაზეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის კალო ჯერ მაშინ გაილეწა, როცა რუსის ჯარმა ოსმალთ 1810 წელს სოხუმი წაართვა. სეფერ-ბეი შარვაშიძემ თავის ნებით აღიარა რუს-ხელმწიფის სუზერენობა. თანაც მოინათლა და ქრისტეანული სახელი გიორგი დაირქვა. იმავე წელს გიორგის ებოძა უმაღლესი ღრამატა და ამ ღრამატის ძალით შარვაშიძენი ცნობილ იქმნენ აფხაზეთის მთავრებად, თავიანთის ქვეყნის შინაურ საქმეთა გამგეებად. 1821 წელს გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი უფროსი შვილი დიმიტრი, პეტერბურგის პაჟთა კორპუსში აღზრდილი. ხოლო 1823 წელს ისიც გარდაიცვალა და ტახტი მისს მცირე წლოვან ძმასა მიხეილზე (ჰამუთბეი) გადავიდა.

რუსის მხედრობამ თან-და-თან დაიმორჩილა კავკასიის მთიელნი. გადაყენებულ იქმნენ მთავარნი სვანეთისა, სამეგრელოისა, ორსავე მხარეში მოისპო ავტონომია და მის მაგიერ რუსული წეს-წყობილება შემოვიდა. აფხაზეთი რჩებოდა განზე, აქ კიდევ იმაგრებდა მთავარი თვისთა უფლებათა. მაგრამ ამ უფლებათა დღენიც დათვლილ იყვნენ. კავკასიის მთავარმართებელი მურავიოვი წერილს წერილზე ჰგზავნიდა პეტერბურგს,—რას ვებოდიშებით აფხაზეთის მთავარს, რა ღონის პატრონი ის არის, რომ ძალა გაგვიწიოს; უნდა აფხაზეთს მოვაშოროთ და ჩვენებური წესწყობილება შემოვიღოთ ამ მხარეშიაცაო. მით უფრო, რომ ეს მხარე მოღალატე, უნდო ხალხით არის დასახლებულიო. რამდენისამე წლის განმავლობაში იყო გამართული ამ შინაარსის მიწერ-მოწერა. ბოლოს გადაწყდა კიდეც მთავარი რუსეთში წაეყვანათ,—უმთავროდ დარჩენილ მხარის დამორჩილება უფრო ადვილი იქნებაო.

მთავრის წასაყვანად დანიშნული იყო ნოემბერი 1863 წლისა. მთავარი მიხელ შარვაშიძე საზამთრო სასახლეში სცხოვრობდა დ. ოჩამჩირეში. თან ახლდნენ: ეპისკოპოსი ალექსანდრე, ჩვენი მხცოვანი მღვდელ-მთავარი, მოძღვარი დეკანოზი ვასილ (ბერობაში ბესარიონ) მიქაბერიძე, მთავარდიაკონნი ივანე თვალთვაძე და იოსებ ტვიტვინიძე და მედავითნენი გრიგოლ კასრაძე და ალექსი დგებუაძე; იქვე ჰყავდა ბაზიერი (ოტია კახიანი), მემიმინოვე (მანჩა (მანუჩარ) შარაშანიძე), მემეძებრე (ბესო მიქელაძე).

წაყვანის ერთის კვირის წინად მთავარი სოფ. კვასკეში, ტყვარჩელის აბანოების მახლობლად, წავიდა სანადიროდ. ასე რომ მისს წასაყვანად მოსულს გენერალს შატილოვს ოჩამჩირეში მთავარი არ დახვდა.

ნოემბრის მშვენიერი თბილი დარი იდგა. ღამე მთვარიანი იყო. ნაშუაღამევის ორი საათი იქნებოდა, როცა ოჩამჩირეს ნავთსადგურში 3 ორთქლმავალი გემი შემოვიდა. ამ გემებიდან ხმელეთზე 6,000 კაცი გადმოსხეს გენერალ შატილოვისა და პოლკოვნიკ თავ. როსტომ მარშანიას მეთაურობით. ამ ჯარს შემოუერთდა 700 ყაზახ-რუსი, ოჩამჩირეში დაბანაკებული. თვალის დახამხამებაზე ალყა შემოარტყეს მთავრის სასახლეს. ყოველი ღონისძიება იყო ხმარებული, რომ შიგნიდან არავინ გამოსულიყო მთავრისათვის ამბის მიმტანად. ამ დროს სასახლეში იყვნენ: უფროსი მსახური და მოლარე მთავრისა ქუთია კოზმავა, სიძე მოძღვარ მიქაბერიძისა დავით ახვლედიანი და ნათესავი მისი, 13 წლის ყმაწვილი, დიმიტრი ხოჭოლავა (აწ მღვდლადაა აფხაზეთში). ხმაურობაზე გამოეღვიძათ. ქუთია კოზმავა მიხვდა, ეს ჯარი სასიკეთოდ არ არის მოსულიო. იმდენს ეცადა, ჯარს ხელიდან გაუსხლტა და ფეხით მთავართან გაიქცა ამბის შესატყობინებლად.

ოჩამჩირედან კვასკეში 700 ყაზახ-რუსი გაგზავნეს და გზის მაჩვენებლადაც თავ. როსტომ მარშანია გააყოლეს. ცოტას ხანს უკან ამ შვიდას კაცს 3,000 კაცი სხვა დაადევნეს. ბოლოს თვით გენერალი შატილოვიც გაუდგა კვასკეს გზას, თან მიჰყავდა 2,000 ჯარის-კაცი. ჰფიქრობდნენ, მთავარი ასე ადვილად არ დაგვნებდება, მთელს აფხაზეთს შეგვიყრის და გაგვიძალიანდებაო. ოჩამჩირეში 1,000 კაცი გარს შემოერტყა დაბას. ვინც შიგ მოექცა, გარედ არ უშვებდნენ,—მთავარს ამბავი არ მიუტანოსო. დუქნები დაჰკეტეს და თითოეულს მათგანს 10—15 კაცი დაუყენეს დარაჯად.

მალულად გამოქცეული ქუთია კოზმავა ყაზახ-რუსების მოსვლამდე აიჭრა კვასკეში და მთავარს ყოველივე მოახსენა. მთავარმაც რამდენიმე ერთგული კაცი იახლა და მივიდა სოფ. გუფში, თავ. მარშანიებთან, თავისის უმცროსის შვილის მიხეილის (არზაყანის) აღმზრდელებთან. შველა სთხოვა, ტახტი ხელიდან მეცლებაო. მაგრამ მარშანიებმა სანუგეშო ვერაფერი უთხრეს: რუსის ჯართან ჩვენი, ომში გაუწვრთნელი, აფხაზები ვერაფერს გახდებიან, ტყუილად დაიხოცებიანო. გვიან იყო ბზიფელებისათვის შეეტყობინებია ამბავი და წელმოწყვეტილი მთავარი ბედს დამორჩილდა. გუფიდან რუსის ჯარის მისაგებებლად წამოვიდა.

მთავრის საძებრად წასული ჯარი კვასკეს ავიდა. რაკი მთავარი არ დახვდა, უკან გამობრუნდა და შუაგზაზე მთავარიც შეხვდა, —მზადა ვარ, წამიყვანეთო. ოჩამჩირეში მთავარს საჭირო დრო მისცეს ბარგი ჩაელაგებინა და გამოუცხადეს: „ნამესტნიკის" ბრძანება გვაქვს ქუთაისში წაგიყვანოთ, იქ ბინა გაქვთ მომზადებული და იქვე იცხოვრებთო. ქუთაისის ხსენებაზე მთავარს გაეხარდა: რაკი სამშობლოში ვიცხოვრებ, ჭირს ადვილად გავუძლებო. ოქროსა და ვერცხლის ფული და განძეული დიდ ყუთებში ჩააწყობინა, თან წამოიყვანა აზნ. ქუთია კოზმავა და რჩეული ქორ-მეძებარი. მსახურთ დაუბარა, შემოგითვლით და მაშინ წამოდით, დანარჩენი ქორ-მეძებრებიც მაშინ წამომიყვანეთო. ბოლოს, სასახლეში შევიდნენ როსტომ მარშანია, ყაზახთა პოლკოვნიკი და რამდენიმე ოფიცერი, გამოიყვანეს მთავარი და მიაცილეს ნავამდე, სადაც გენერალი შატილოვი უცდიდა. ორივენი გემზე ავიდნენ.

ნაპირზე აუარებელი ხალხი იდგა საყურებლად გამოსული. ყველას ეგონა, გემი ფოთისაკენ წავაო. ამოძრავდა გემის მანქანა, ზღვა აქაფდა. მთავარი ნაღვლიანის თვალებით გადმოსცქეროდა სასახლეს, აბჟუას, მთლად აფხაზეთსა... გული აუჩუყდა, თვალებზე ცრემლი მოერია და თავი აარიდა იქაურობის ყურებას. მხოლოდ გონების თვალით უცქეროდა თავის აწმყოსა და მომავალს, იმის გამოცნობას-ღა სცდილობდა, რა მომელის, რას მიზამენ, ან ჩემს ქვეყანას რა დაემართებაო... ერთი აზრი შავბედით ყორანსავით თავს დასჩხაოდა, მოსვენებას არ აძლევდა: ჩემთან ერთად ბოლო მოეღება აფხაზეთის მთავრობას, ჩემი დიდება გაჰქრა, გაჰქრა სამუდამოთაო...

გემი გაგიდას (სოფელია ოჩამჩირის აღმოსავლეთით) გაუსწორდა. დაუპირდაპირდა ანაკლიას... საცაა, ფოთში ჩავალთ, იძახდა გუნებაში მთავარი. უცბად კაპიტანის კომანდა გაისმა და გემმა ნელ-ნელა პირი იბრუნა რუსეთისაკენ... მთავარს გონი ვერ მოეკრიფნა. თავისს თვალებს არ უჯერებდა. ოჩამჩირელთაც დაინახეს უკან მიბრუნებული გემი. ყველანი დარწმუნდნენ, რომ მთავარს პირველადა და უკანასკნელად ხედავდნენ. უნდოდათ პროტესტის გამოცხადება, მაგრამ საყოველშემთხვევოდ ოჩამჩირეში დატოვებულმა ჯარმა, 4,000 კაცისაგან შემდგარმა, ყველას გულშივე ჩააკვლევინა ეს პროტესტი, გარედან მხოლოდ ცრემლად გამოხატული.

გემმა მთავარი ნოვოროსიისკში გაიყვანა. იქიდან ქ. ვორონეჟში წაიყვანეს საცხოვრებლად.

მთავარის წაყვანის მეორე დღეს ოჩამჩირეში ბოქაულად ვინმე კაცმანი დანიშნეს. მისი პირველი განკარგულება ის იყო, რომ 700 კომლ ოსმალოს, აქ დასახლებულს, გამოუცხადა, პასპორტები მოიტანეთ, ან ყველანი გადასახლდით აქედანაო. უმეტესმა ნაწილმა ქონება ნახევარ ფასებში მიჰყიდ-

---

*) იხ. „ცნ. ფურცელი" № 2349.

მოსარიდებელი მამინაცვალი იყოს, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მამა ჩემი, დამწერის „ცნობის ფურცლის" ფელეტონისა, რომელიც „კვალის" „ნედოროსლებს" არ მოეწონათ. ალბად „კვალის" მასხარამ დედი ჩემის სახელი არ იცოდა, თორემ, უეჭველია, მასაც ახსენებდა და გაზეთის ფურცლებზე სასაცილოდ აიგდებდა.

და ასეთ ლიტერატურულ უზრდელობას და უმზგავსობას რომ თავისი ნამდვილი სახელი ვუწოდო, განა ვინმეს შეუძლია მითხრას,—ზომიერებას გადააჭარბეო? არა მგონია. ხალხის წინ გაფურთხება, მაგალითად, უზრდელობად ითვლება, მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენს ახლო რაიმე გახრწნილი ლეში აგდია, რომელიც ჭაერს სწამლავს და თქვენც გწამლავთ: თქვენ უნებურად თვალებს დახუჭავთ, ცხვირის ნესტოებს დაიჭერთ და მაგრად გააფურთხებთ. ამით თქვენ სრულიად ბუნებრივ ზიზღს და უსიამოვნებას გამოხატავთ, რისთვისაც ვერავინ დაგძრახავთ და გაგკიცხავთ.

იმედი მაქვს, ჩვენი საზოგადოება შესაფერად დააფასებს „კვალის" ქცევას და ღირსეულ ზნეობრივ მსჯავრს დასდებს მისი რედაქციის აღვირაშვებულობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვით ამ გაზეთის მკითხველებშიაც გამოჩნდებიან ბევრნი, რომელნიც ზიზღით შეხედვენ ამ, უკატრაული პასუხია, მწერალთა მოქმედებას, მათ უსაზღვრო თავგასულობას და უზრდელობას.

მხოლოდ არ ვიცი, რას ფიქრობს ის წრე, რომელიც წინედ ამ გაზეთს ხელმძღვანელობდა. უცხადებს იგი ზნეობრივ თანაგრძნობას და სოლიდარობას „კვალის" „ნედოროსლების" გარჯიშობას?

ჯერ ჯერობით მოვიცდი,—იქნება ვინმემ იმათგან ხმა ამოიღოს და ამ საინტერესო კითხვაზე პასუხი მომცეს. ან, იქნება ტყუილად მომიხდეს ლოდინი და „კვალის" ეხლანდელი თანამშრომლები ნამდვილი გამომხატველნი იყვნენ ხსენებულ წრის აზრ-შეხედულებისა და ზნეობრივ შემეცნებისა? არ მჯერა. ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

**ფ. გოგიჩაიშვილი**

# სასამართლო

I

## ფოსტის გაძარცვა

(დასასრული*)

ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარის შეკითხვაზე დამნაშავედ სცნობენ თავსა თუ არა, ბრალდებულთ სათითაოდ განაცხადეს, რომ ამ საქმეში ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვისო. შემდეგ დაიწყო მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა. ფოსტალიონმა ჯებეიანცმა სთქვა: ქალაქიდან ადრე გავედით. ათს საათზე მეტი არ იქნებოდა, უჯარმის სადგურს რომ ვანვშორდით. როგორც კი ეტლი შესდგა უჯარმასა და გომბორს შუა ქვის ხიდზე, მარცხნივ თხრილიდან, თოფებით ხელში. თავი ამოჰყო ოთხმა ავაზაკმა. ჯერ შემოგვძახეს „შესდექითო" და შემდეგ გვესროლეს თოფები. შიშისაგან ისე ავკანკალდი და დავიბენი, რომ აღარ გამიგია-რა, რა მოხდა. გონს მოვედი მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ, ხიდს აქეთ, გზა-ტკეცილზე, სადაც უგრძნობლად დავვარდნილიყავი. რა მოუვიდა დარაჯს ვერმიშვეს და ან რა იქმნა კუჩერი, არ ვიცოდი. ცოტა ხანს შემდეგ თავს წამომადგა თათრის მოლა თანამგზავრით, რომელთაც დახმარება გამიწიეს. მერე დავბრუნდი უკანვე და საზარელი სურათი ვნახე: დარაჯი ტყვიით გაგმირული ეგდო გზაში. ფოსტა სულ გადმოქექილ გადმოწეწილი იყო; ჩემოდანი და ჩანთები დაკეცილი, წერილები მიხეულ-მოხეული და აქეთ-იქით გადაყრილი. ყოველმავე ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ გულს შემომეყარა და ძირს დავეცი. რამდენისამე საათის შემდეგ მახლობელ სადგურზე მიმიყვანეს. რამდენადაც შევნიშნე ავაზაკებს, თავები ყაბალახებით ჰქონდათ შეკრული. ოთხი კაცი იყო. გარეგნობით, როგორც ვიცანი, თათრები უნდა ყოფილიყვნენ.

კუჩერმა ილია უფლისაშვილმა სთქვა: ოთხი კაცი დაგვეცა თავს; თავები ყაბალახებით ჰქონდათ შეკრული. როცა დაიძახეს „შეჩერდითო" და თოფები მოგვიღირეს, მივხვდი, ავაზაკები იყვნენ. თოფების დაცლის შემდეგ შევშინდი, და, რაკი ვნახე, ცოცხალი ვიყავი, გადმოვხტი ეტლიდან და გავიქეცი ტყეში. როცა გზა-ტკეცილზე გავედი, გავიქეცი სადგურზე დარაჯების შესატყობინებლად. ვერც ერთი ავაზაკის სახე ვერ გავარჩიე.

მოწ. თეოდორე ვენჭაშვილი: ტყიდან ურმით სოფლისაკენ მოვდიოდი. დავინახე, ოთხი კაცი ეტლს გარეშემო უტრიალებდა. პირველად მგზავრები მეგონი, მაგრამ, როცა ორმა თოფი მომიღირა, გაისროლა და დამიყვირა მიწაზე დაწექიო, მივხვდი ვინც უნდა ყოფილიყვნენ. გავაჩერე ურემი, ქვეშ შევძვერი და დავწექ გზაზე. როგორც ლაპარაკზე ეტყობოდათ, ავაზაკები ლეკები უნდა ყოფილიყვნენ.

ოთხი უმნიშვნელო მოწმის გამოკითხვის შემდეგ ჩვენება ჩამოართვეს სანდრო ჩუბინიძეს, რომელმაც სთქვა: მე და ჩემი ამხანაგი ეპიტაშვილი ტყეში ვიყავით და ნახშირსა ვსწვავდით. საღამო იყო. ჩამოიარა ტყიდან ექვსმა შეიარაღებულმა კაცმა. შემეშინდა, ჩვენს ქოხს თავი მივანებე და გავიქეცი. უკან გამომიდგა ორი მათგანი, ერთმა თოფი მომიღერა, გაჩერდი, თორემ მოგკლავო, მეორემ კი ხანჯალი ამოიღო. წამომექომაგა ერთი მათგანი, შავ-წვერიანი (უჩვენებს ხელით), აი ის, რომელიც შუაში ზის, და უთხრა ამხანაგებს. ნუ მოჰკლავთო. მიმიყვანეს ქოხში და აი იმ წრიანმა მითხრა: პური არა გაქვთ, გვაჭამეთო. რადგან პური არა გვქონდა, ვუთხარი ფქვილი გვაქვს-მეთქი. შემდეგ, აი, იმ უკანასკნელმა სკამზე რომ ზის (უჩვენებს მამულაიშვილზე), წაიმკლავა და პურის ცხობას შეუდგა, სხვებმა-კი ნახშირი გააჩაღეს. პურს გამოცხობა არც-კი აცალეს, ისე დაუწყეს ჭამა. როცა დანაყრდნენ, წამოიშალნენ და გვითხრეს: ერთ-ერთი უნდა წამოხვიდეთ, ამ ტყეს გაგვაცილოთო. მე წამიყვანეს. კარგა მანძილი რომ გავიარეთ ტყეში, შავ-წვერიანმა მოიხსნა ნაბადი, ჩამოიხსნეს იარაღი და გაჰხვიეს შიგ. წვივზე თოკი მქონდა შემოჰერილი, შემაჰრეს იგი და ნაბადი შეჰკრეს. შემდეგ ჩასდვეს ხშირ ფოთლებში, ზედ ფიჩხი და ფოთლები მიაყარეს და მითხრეს: კარგად დაიხსომე ეს ადგილი, თოფები ქალაქში უნდა ჩამოგვეიტანოო. ტყიდან გზაზე გამოვედით, გადმოვუხვიეთ მინდვრებზე და წამოვედით. ერთი გამომიძღვა წინ და ხუთნი უკან მომსდევდნენ. კარგა მანძილი რომ გამოვიარეთ, აი, იმ „რიჟამ" (უჩვენებს ისიდორე მახარაძეზე) სთქვა: „ამხანაგებო, მოვკლათ და გადავაგდოთ სადმე ეს კაცი, თორემ ისეთს ოინს გვიზამს, რომ დავიღუპებითო". შიშის ზარმა ამიტანა და არ ვიცოდი, რა მექნა. ყოველ საშუალებას ვხმარობდი, მარჯვე შემთხვევა მეპოვა, რომ გავქცეულიყავ. წითელ წვერას შავწვერიანმა (ჰელიძემ) შეუტია: რას ამბობ, კაცო, ჯერ ერთის მოკვლა არ მოგვინელებია, ახლა მეორე კაცის ცოდო გინდა დავიდვათო. ცოტა მანძილი გამოვიარეთ, ნახეს საათი და გათენებამდის კიდევ 4 საათი იყო. ერთს ხევში შევჩერდით, დალაგდნენ უცნობნი, ზოგმა ჩაიძინა კიდეც. იმათ დარაჯობდა „რიჟა" წვერიანი. შიშისაგან რა დამაძინებდა. მინდოდა გავქცეულიყავ. „რიჟამ" (მახარაძემ) შემატყო რაღაც და, რადგან არ მეძინებოდა წამოვარდა ზეზე და შემომძახა: რატომ არ იძინებ, დაიძინე, თორემ მოგკლავო. ვუპასუხე, თქვენ დაიძინეთ და მე გიდარაჯებ-მეთქი. მაგრამ რიჟამ მალე გააღვიძა ამხანაგები და უთხრა, ადექით, დროა წავიდეთ ქალაქისაკენაო. გათენდა, როცა ავლაბარში მივედით. ავლაბარში ალაჯანოვის ბაკში ნახშირი მიმქონდა ხოლმე და, რადგან შემთხვევა არა მქონია, ავლაბარს მე არასოდეს არ გავცილებივარ და არ ვიცი, სად მიმიყვანეს. მახსოვს კი ჩამიყვანეს ერთს სარდაფში, სადაც „რიჟამ" დაიძახა, მოიტანეთ ღვინო, ჩარექა რვა აპაზიანიო. შავ-წვერიანმა უთხრა: რად გინდა მაგ ფასიანი, თუნგი მანეთიანი ღვინო მოიტანეთო. მოიტანეს სუფრაზე ყველაფერი უხვად და შეუდგნენ მირთმევას. მე ერთი ლუკმაც არ ამიღია ხელში, ჩემთვის განზე ვიჯექი. მაშინ შავ-წვერიანმა უთხრა ამხანაგებს, არასა სჭამს, უკეთესია გავუშვათო. შავწვერიანი მომიახლოვდა და მითხრა: შვილო, ჩვენი სული შენს ხელშია,—უნდა ისეთი სიკეთე გვიყო, რომ ახვიდე იმ ადგილას, სადაც თოფები დავსტოვეთ და ამ დუქანში უნდა ჩამოგვიტანოო. [illegible] მოგიტანთ-მეთქი. აბა, ოთახი რომ გიჩვენოთ, იქ ხომ მოგვიტანო. ამისიც უარი ვუთხარი. ბოლოს დავითანხმე, ავლაბარში ოდანოვის ბაკში ჩამოგიტანთ-მეთქი. უცნობნი დამთანხმდნენ და ორი, აი, პირველ რიგში რომ სხედან (ნაცვლიშვილი და ღლონტი), მაგათ ჩამსვეს ეტლში და წამიყვანეს, რომ მეჩვენებინა იმათთვის ის ადგილი, სადაც თოფები უნდა ჩამომეტანა. როცა ვუჩვენე ოდანოვის ბაკი და, ის იყო უნდა დამეხწია იმათგან თავი, მითხრეს: ჩამოგვიტან თოფებს, ნეტაი დედაშენს, არა და—ვაი შენს დედასაო: მოვალთ და სულ ერთიანად აგიკლებთო. ამასთანავე შემპირდნენ, თუ თოფებს ამ ორს დღეში ჩამოგვიტან, იმდენ ფულს მოგცემთ, შენს შვილიშვილსაც ეყოსო. სახლში მივედი საღამოთი. იმავე ღამეს ტყიდან ავიტანე იარაღი სახლში. ეს ამბავი მთელმა სოფელმა შეიტყო, მოვიდნენ სანახავად და გამოსაკითხავად. მამასახლის ყველაფერი ვუამბე. მამასახლისი მიხვდა, რომ ფოსტის გამძარცველნი უნდა იყვნენ და ქალაქში წამოვიდა მაზრის უფროსთან. როცა ნაბადი გავხსენით, შიგ აღმოჩნდა 5 თოფი, წაღები და შინელი. იარაღი იქვე დავტოვე და იმავე დღეს წამოველ ტფილისში. ოგანოს ბაკში რომ მოვედი, ორი დაეჭირათ კიდეც: აი, ისინი (უჩვენებს ნაცვლიშვილსა და ღლონტზე).

ჩუბინიძის ამხანაგმა ეპიტაშვილმა სთქვა: შელამებული იყო, როდესაც გორიდან ჩამოვიდა ექვსი შეიარაღებული კაცი. ჩუბინიძე გაიქცა და მე ქოხში მომიმწყვდიეს. ერთმა ხანჯალი ამოიღო. შიშის ზარმა ამიტანა. ამ დროს შემოიყვანეს ჩუბინიძეც, რომელიც დაეჭირათ. თითონვე პური გამოაცხვეს და სჭამეს. შემდეგ ჩუბინიძე წაიყვანეს და წავიდნენ. მე იმ დღიდან ავად გავხდი, სოფელში წაველი და კარგა ხანი ჩუბინიძე აღარ მინახავს და არ ვიცოდი, რა მოუვიდა იმ ღამეს შემდეგ. როცა შემიყვანეს მეტეხის ციხეში და როცა ეს და სხვა 20 ტუსაღი მიჩვენეს, ყველანი ვიცანი. რომელიც პირველ ადგილზე ზის (ნაცვლიშვილი), კარებთან იჯდა, მეორე (ღლონტი) ფქვილის ტომარაზე იჯდა, მეხუთე (მამულაიშვილი) დამკლავებული პურს აცხობდა, მეოთხემ „რიჟამ" (მახარაძემ) ცოტა ხანს მისთვლიმა, ხოლო მესამე (ჰელიძე) ნაბადში გამოხვეულიყო და, როგორც უფროსი, ფხიზლობდა და ყოველსავე თვალს ადევნებდა. მანვე პირველად მოგვთხოვა პური.

ჩვენება ჩამოერთვა სხვა მოწმეთაც. 15 დეკემბერს ჩვენების ჩამორთმევამ გასტანა ღამის $11\frac{1}{2}$ საათამდე. ეკითხა სულ 12 მოწმეს. დანარჩენ 75 მოწმის ჩვენების ჩამორთმევა გადაიდვა 16 დეკემბრისათვის.

16 დეკემბერს განაგრძეს ბრალმდებლის მხრივ გამოწვეულ მოწმეთა გამოკითხვა. ჩვენება ჩამოართვათ დარაჯებს, რომელნიც მამასახლისს თუშმელაშვილთან იყვნენ გაგზავნილნი ოლაჯანოვის ბაკში ბოროტ-განმზრახველთა დასაჭერად. დარაჯებმა განაცხადეს, ჩუბინიძე მარტყოფიდან მოვიდა იმ დროს, როცა ნაცვლიშვილი და ღლონტი დავიჭირეთ. ჩუბინაძემ იცნო ორივენიო.

---

მოჰყიდა და იქაურობას თავი დაანება.

ექვსის თვის უკან მთავრის ქონების საპატრონოდ ადმინისტრაციამ დანიშნა დადიანები დავით გიორგის ძე (ცოლის ძმა მთავრისა) და ნიკოლოოზ ელიზბარის ძე (სიძე მთავრისა). სამთავრო ბეჭედი მიხეილისა დარჩენოდათ დეკანოზს მიქაბერიძეს და მთავრის მდივანს გიგო ხოჯაშვილს (ქუთაისელი სომეხი იყო), რომელსაც მთავრის წაყვანის შემდეგ ბევრი ყალბი საბუთის ქაღალდები უკეთებია და მთავრის სახელით უსაღებია. მთავრის ზოგიერთ მამულის გაყიდვასაც-კი აბრალებდნენ.

ოჩამჩირეში რომ კაცმანი დანიშნეს, სოხუმში გენერალს კონიარს ჩააბარეს უფროსობა და აფხაზეთის პატრონობა.

სამშობლოს დაშორებულს მთავარს დიდხანს არ უცოცხლია. რამდენისამე თვის უკან გარდაიცვალა, სამშობლოში მოასვენეს და დიდის დიდებით მოქვის ტაძარში დაასაფლავეს.

—

აფხაზეთის მთავარი რომ 1863 წელს წაიყვანეს, ერთის წლის უკან, 1864 წ. 10 ივლისს აფხაზეთში რუსულ მართვა-გამგეობის შემოღება იქმნა გამოცხადებული. სოხუმიდან ლიხნში წამოვიდა მაშინდელი სოხუმის სამხედრო ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი კონიარი. უნდა გამოეცხადებინა აფხაზთათვის—ბატონყმობა უნდა გადავარდეს აფხაზეთში, როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ნაწილებში მოხდაო, მიწები სახელმწიფოდ უნდა გადავიდესო. კონიარს სოხუმიდან თან მოჰყავდა მთავრის მცირე წლოვანი უფროსი შვილი გიორგი,—თუ ვინიცობაა არეულობა მოხდა, ამის პატივისცემით მაინც არაფერს გამიბედავენო. თან ახლდა აგრეთვე 70 ყაზახრუსი. მთავრის სასახლის წინ მინდორი სავსე იყო სხვა-და-სხვა სოფლებიდან ჩამოსულ აფხაზებით. ყველანი თოფ-იარაღში იყვნენ ჩამსხდარნი. მაგრამ საომრად მოსვლა, ამბოხების მოხდენა წინდაწინ არავის ჰქონდა განზრახული. სასახლის აივანზე გადმომდგარმა კონიარმა თარჯიმანის გიორგი ტკეციშვილის პირით გამოუცხადა თავის მოსვლის აზრი, ხალხმა ვერ გაიგო კარგად მისი ნათქვამი. ვერ გაიგო და გაუკვირდა კიდეცა. გაუკვირდა ისა, რომ ბატონყმობა აფხაზეთში იმ სახით, რა სახითაც რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა ალაგას ყოფილა, აქ, რაც აფხაზებს თავი შეუსწავლიათ, არ არსებულა. ბატონყმობა აქ სიტყვის მასალად არის ხმარებული, ალბად, უნდათ მიწები ჩამოგვართვანო. კონიარს ხალხმა პასუხად ის უთხრა, რომ ერთის კვირის ვადა მოგვეცით საფიქრებლად, თან ნამესტნიკს მოვახსენებთ ჩვენს მდგომარეობას, მანამდე კი გადაწყვეტილს ვერაფერს გეტყვითო. კონიარი, როგორც მომსწრენი მოგვითხრობენ, მეტის-მეტი ფიცხის ხასიათისა ყოფილა, გულის-თქმის აყოლა სჩვევია და ლაპარაკის დროს ნათქვამ სიტყვების სიმძიმეს არ აკვირდებოდაო. დაივიწყა, რომ მეტად მძიმე საქმის გადაწყვეტა ჰქონდა მინდობილი; დაივიწყა, რომ ერთხელ გამოცხადებით, ბრძანებით და მუქარით აფხაზებთან ვერას გახდებოდა; დაივიწყა, რომ აფხაზნი, როგორც თავმოყვარე ხალხი, აღელვებულის კილოთი ნათქვამ სიტყვებს ვერ მოითმენდნენ, არავის შეარჩენდნენ. თავისი თავი წარმოიდგინა ისეთ კაცად, რომელსაც ყველანი სიტყვა შეუბრუნებლად, დაუყოვნებლივ უნდა დამორჩილებოდნენ, და გულმოსულად უარ-ჰყო ხალხის თხოვნა; კიდევაც შეურაცხჰყო აფხაზნი თარჯიმანმა კონიარის ნათქვამის თარგმნა რომ გაათავა, ერთმა მოსწრებულმა ვაჟკაცმა თადა მარღანიამ ხალხს შესძახა: ერთმა კაცმა როგორ შეგვაშინათო! და თოფიც გაისროლა. ნერვებ დაძაგრულ ხალხს მეტი წაქეზებაც არ უნდოდა და ტყვია სეტყვასავით წამოვიდა. მოკლულ იქნა ოთხი ოფიცერი, კონიართან მისული მოხელე ჩერეპოვი და 54 ყაზახრუსიდან თორმეტი-ღა გადარჩა. მღვდელმა ივანე გევიამ საჩქაროზე გაალო ტაძრის კარები და იქ მყოფი ალექსანდრე ეპისკოპოსი თავისი კრებულითურთ და ეს 12 ყაზახრუსი შიგ შეჰკეტა. გაალმასებული აფხაზები აცვივდნენ სასახლეში, კონიარი თვითონ ბუხარში შეიმალა და მისულებს მთავრის შვილი გიორგი გამოაგება,—იქნებ როგორმე დაამშვიდოს აფხაზნი, და სიკვდილს ავცდეო. მაგრამ ვერც ამან უშველა. აფხაზთ თავადებმა გიორგი შუაში ჩაიყენეს, რომ იმისთვის ხელი არავის ეხლო. ხოლო სხვები ოთახში შესცვივდნენ. ბუხრიდან გამოითრიეს კონიარი და ასო-ასო აჰკაფეს.

ალექსანდრე ეპისკოპოსი მეორე დღეს მთავრის ძმის ალექსანდრეს მეუღლემ ბომბორაში ჩამოიყვანა მალულად, ჩოხაში გამოწყობილი. ყაზახრუსებიც თარჯიმანის მღვდ. მიხელ სახოკიას პირით დააჯერა, მენდეთ, ჩემთან არაფერი გიშავთო და ისინიც ეპისკოპოსთან ერთად იქვე ჩამოიყვანა, ჩასვა ყველანი ნავში, საიმედობისათვის თვით მღ. მიხ. სახოკიაც გააყოლა და სოხუმში გაისტუმრა. ამ გვარად უვნებლად გადაარჩინა ყველანი უეჭველს სიკვდილს.

აჯანყებულნი აფხაზნი ლიხნიდან წამოვიდნენ და ჯერ მიესივნენ გუდაუთას. იქაურობა გაძარცვეს, აიკლეს და გადასწვეს. აქედან სოხუმის დასარბევად და იქ მყოფ რუსის ჯარის ამოსაჟლეტად გამოსწიეს. ორი ათას კაცზე მეტმა მოიყარა თავი. მაშინდელს სოხუმში ორმოციოდე ხის დუქანი-ღა იყო მეგრელ-ვაჭრებისა. ამბავი მოვიდა თუ არა, კონიარი მოჰკლეს და აფხაზნი სოხუმს უპირებენ თავს დასხმასაო, მცხოვრებნი და ჯარი სოხუმის ციხეში შევიდნენ. ეს იყო 28 ივლისს. საღამოზე კოკისპირული წვიმა წამოვიდა და მდ. გუმისთა საშინლად აადიდა. საომრად წამოსული აფხაზები ადიდებულმა მდინარემ არ გამოუშვა და მთელი ერთი დღე წყალგაღმა დააკავა. ამასობაში რუსის ჯარმა დრო მოიგო, ჯებირები გააკეთა და დასახვედრად მოემზადა. 29 ივლისს აფხაზებიც მოვიდნენ და ქალაქს ჩრდილოეთიდან, ტრაპეციად წოდებულ გორაკიდან, მოესივნენ, ბოტანიკურ ბაღის ზემოდან. ხევებს ამოფარებულებმა მუსრი გაავლეს რუსის ჯარს და ის იყო, უნდა ქალაქი აეღოთ, მაგრამ ამ დროს ნავთ-სადგურში შემოსულ შხუნებიდან მთელი რვა პოლკი ჯარი გადმოსხეს. ორ-ათასამდე მეომარმა აფხაზებისამ ვერ გაუძლო მტერს და 30 ივლისს უკანვე წავიდა. ბარემ არ ლოდოდნენ, რომ ბრძოლის ველზე მარტონი არ დარჩენილიყვნენ და აბჟუას (აღმოსავლეთ აფხაზეთის) აფხაზებს რამე მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში.

გემებით მოსულ ჯარს, რომელშიაც ერივნენ გურულ-მეგრელთა მილიციონერებიც, თვით მირსკი (მთავარ-მართებლის თანაშემწე) მოჰყვებოდა. სოხუმი განსაცდელს რომ გადაარჩინეს, 15 მარიამობისთვეს მირსკი ლიხნში ავიდა. გადაწყვეტილი იყო, აფხაზები, 7 წლის ზევით ვინც იქმნებოდა, არავინ დაეზოგათ, ყველასათვის მუსრი გაევლოთ. მაგრამ წინააღმდეგობა არავის გაუწევია. დაბრუნებულზე კონიარისა და ორის ოფიცრის გვამები სოხუმში წამოასვენეს.

გუდაუთის უფროსად დაინიშნა თავ. დიმ. ქავქავაძე, რომლის ბრძანებით აფხაზებს იარაღი დააყრევინეს და ორი სასიმინდე სავსე სოხუმში ჩამოიტანეს. ქავქავაძემვე 30 მოთავე არეულობისა სახლში მიიპატიჟა, გაუმასპინძლდა და ურჩია, სოხუმში წამომყევით, შეინანიეთ დანაშაული და ვიშუამდგომლებ ყველაფერი გაპატივონო. სოხუმში ჩამოსულ მოთავეთ ყაზახ-რუსები გააყოლეს და ყველანი რუსეთს გადაასახლეს. უმრავლესობა იქ დაიხოცა და ათის წლის შემდეგ ცოტა-ღა დაბრუნდა სამშობლოში, მათს შორის სოფ. აცის მცხოვრები აფხაზ-მიამასირ მუსაიფა ოთურბა. დახვრეტით სოხუმში სამი დახვრიტეს: აზნაური ყიზილბეგ მარღანია, აშვა ჰიფ და ერთიც ხუბულიების ნამოჯალაბარი.

ლიხნში მთავრის სასახლეს მირსკის ბრძანებით ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს. ამბოხების დროს დახოცილი ყაზახ-რუსები ერთ საერთო სასაფლაოში დამარხეს და ზევიდან ქვითკირის ფანჩატური დაადგეს, რომელიც ლიხნის მინდორზე, სასახლის პირდაპირ დღესაც დგას. უზარ-მაზარ ქვითკირის შენობისა კედლები-ღაა დარჩენილი, აფხაზეთის დამოუკიდებლობის მოწამედ. და დღეს არა, ხვალ ისიც დაინგრევა. მოწმედვეა მრავალწლოვანი ცაცხვები, მათს ქვეშ დადგმული ფიქალი და ტრიალი მინდორი. დაიმარხა ძალა აფხაზთა და ეს, ერთს დროს ძლიერი, ხალხი დასუსტებულია და თითქმის გამქრალი.

**თ. ს.**

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2354.

მოწამემ მაზრის უმფროსმა თავ. ლ. ჯანდიერმა განაცხადა დაახლოვებით შემდეგი: როცა მე ეს ბოროტმოქმედება გავიგე, საქმის გამოძიებას შევუდექი. ჩუბინიძეს მეოხებით მალე ორი ავაზაკი დავაპატიმრე კიდეც. შემდეგ უმთავრესი ყურადღება მივაქციე საიდუმლო აგენტების მიერ მოტანილ ამბებს. კარგა ხანს კვლევაძიების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ საქმეში უსათუოდ ღლონტს მონაწილეობა უნდა ჰქონებოდა მიღებული. ბოლოს იმასაც დავრწმუნდი, რომ ეს ავაზაკობა უსათუოდ გურულების მიერ შედგენილ ბრბოს უნდა ჩაედინა. თავ. ჯანდიერს მიუწერია ავაზაკთა ნიშნები ოზურგეთის მაზრის უფროსას ჯაფარიძესთვის, რომლისაგანაც მიუღია ცნობა, რომ ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ჭელიძეს, მახარაძეს და მამულაიშვილსაო. ესენი დავაპატიმრეთ და რამდენჯერმე 20 სხვა კაცთან ერთად ვუჩვენეთ ჩუბინიძეს და ეპიტაშვილს, რომელთაგან პირველმა ნახვისათანავე იცნო ყველანი, ხოლო მეორემ—ცოტას ხანს დაკვირვების შემდეგაო. თითქმის ერთის საათის ლაპარაკის შემდეგ თავ. ჯანდიერმა სთქვა: მე დარწმუნებული ვარ, რომ მიხეილ ნაცვლიშვილს მაგ საქმეში მონაწილეობა არ უნდა მიეღოს, ხოლო, რაც შეეხება ღლონტს, ჭელიძეს, მამულაიშვილს და მახარაძეს, ვამტკიცებ, რომ ეს ავაზაკობა იმათ უნდა ჩაედინოთ. იმ საბუთს გარდა, რაც გამოძიებამ აღმოაჩინა, ის გარემოებაც მარწმუნებს მაგათ დანაშაულობას, რომ ბრალდებულნი გურულები არიან და ასეთი ავაზაკობა და ძარცვა-გლეჯა საზოგადოდ გურულების ხელობას შეადგენსო“.

რამდენისამე მოწმის შემდეგ ჩვენება ჩამოერთვა ბრალდებულის ძმას, რომელმაც სთქვა: „ძმებს ოზურგეთში სადალაქო და იქვე სამკურნალო გვქონდა. რადგან ჩემ ძმას სალდათობა უწევდა და შემდეგ აღარაჯინ მეყოლებოდა, რომ ტფილისს გამეგზავნა სავაჭროდ, ძმას მივეცი ფული და გამოვისტუმრე. უნდა ეყიდნა 70 მან. შალები, მარმალილოს სტოლი, ჩოთქები და სხვა მოწყობილობანი. ჩემი ძმა ქალაქს წავიდა ოზურგეთიდან 22 ოქტომბერს. ჯიბეში ჩემ ძმისთვის უნახავთ 150 მან. ერთი და 100 მან. მეორე, 160 მანეთამდე სავაჭროებისთვის მე თვით გამოვატანე. რადგანაც სალდათობა მოელოდა, 100 მანეთიც თითონ შეეგროვებინა, რომ შემდეგ გამოეყენებინა.

საქმეში ნაჩვენებია, ვითომ მახარაძემა და ღლონტმა მოისურვეს მარტყოფის მღვდლის კანდელაკის დახმარებით უმთავრეს მოწმეთა ჩუბინიძისა და ეპიტაშვილის მოსყიდვასაო. ამაზე მოწამემ მღვდელმა ნიკოლოზ კანდელაკმა სთქვა: ტფილისში ვიყავ ჩემ ნათესავებთან. მიმიწვიეს „ვეტცელის“ სასტუმროს ნომერში ღლონტმა და მახარაძემ და მითხრეს: დაარწმუნეთ ჩუბინიძე და ეპიტაშვილი, რომ ცოდვას ნუ დაიდებენ, ტყუილს ნუ იტყვიან, თუ არ უნახვივართ ტყეში, თუ არ იციან, რომ ამ საქმეში ვერიეთო. მე უარი ვსთქვი, ჩემი საქმე არ არის-მეთქი. ამის მეტი მოწმეებს ჩემთვის არა უთქვამს რა.

მოწმემ ლავრენტი ერქომაიშვილმა სთქვა: მართალია, გამომძიებელს ვაჩვენე, რომ ნახული ნაბადი მახარაძის არის მეთქი, მაგრამ ეს გაჯავრებულმა ჩავიდინე, რადგან მახარაძეს სოფელში ბევრჯელ შევუწუხებივარ, როგორც მოუსვენარსა და გაუტანელს მეზობელს. ეხლა ვამბობ, რომ ეგ ნაბადი იმისი არ არის და არც რაიმე მსგავსება აქვს იმის ნაბდისა. მოწ. მელქისადექ მახარაძემ სთქვა: მართალია, ვსთქვი წინად, რომ ნიკოლაიშვილისას ქორწილში მახარაძე არ მინახავს მეთქი, მაგრამ ეხლა ფიც ქვეშ ვამბობ, რომ ისიდორე მახარაძე 18, 19, 20 ნიკოლაიშვილისას იყო ჯერ ქორწილის სამზადისის დასახმარებლად და კვირას 20 ოქტომბერს თვით ქორწილში.

შემდეგ ეკითხათ ბრალდებულის მიხ. ნაცვლიშვილის მოწმეებს. ინჟინერის თავ. ანდრონიკაშვილისა, ვ. ნასიძისა, გრ. ნაცვლიშვილისა, ჯუჯიევისა, ტაბუცაძისა, ალ. ლორთქიფანიძისა, ბაირამაშვილისა, სვ. კომიზაშვილისა, გაბ. ნაცვლიშვილისა, ი მამამთავრიშვილისა და სხვ. სიტყვით, ნაცვლიშვილი 17 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრამდე უნახავთ ტფილისში. მიხ. ნაცვლიშვილი 18 ოქტომბერს თავ. ანდრონიკაშვილთან ყოფილა, 20 ოქტომბერს დილით ეხმარებოდა ანდრონიკაშვილს ერთი ბინიდან მეორეზე ნივთების გადაზიდვას, 21-ს იმასთანვე ყოფილა თხოვნის გასაკეთებლად ქუთაისის გუბერნატორის სახელზე; 23 თავ. ანდრონიკაშვილს ნაცვლიშვილი თვით გაუგზავნია წერილის გასაგზავნად ტაბუცაძესთან, რომელიც გზის სამუშაოში გაუწვევია ინჟენერს. ნაცვლიშვილს უნდოდა ეს წერილი ალაჯანოვის ბაკიდან რომელისამე მეურმის ხელით გაეგზავნა და ამ დროს დაუჭერიათ კიდეც. 18 საღამოთი ნაცვლიშვილი ყოფილა თავის ნათესავებთან, გრ. და სხვა ნაცვლიშვილებთან. აქ ამ დღეს ბრალდებულს სხვებთან ერთად გაუცილებია რკინის გზის სადგურამდე სიმონ ნაცვლიშვილი, რომელიც განჯას მიემგზავრებოდა. მათთან ყოფილა 19 და 20 ოქტომბერს.

მოწ. კომიზაშვილის სიტყვით ნაცვლიშვილი 19 ოქტომბერს ავლაბარში მასთან იყო ორჯელ, დილით 10 საათამდე და საღამოს 5-6 საათზე. მოწმეებმა თედ. კიკვაძემ, სურგულაძემ, გოგიბერიძემ აჩვენეს, რომ 19 ოქტომბერს მილორდი ღლონტი თავის სადალაქოში იყო და მუშაობდა. თ. კიკვაძე 20 ოქტომბერს ქორწილში მიემგზავრებოდა და 19 ოქტომბერს ღლონტს იმისთვის თმა გაუკრეჭია. ჩხარტიშვილმა ღლონტი ნახა ტფილისში მიმავალი 22 ოქტომბერს. სად. ნატანებზე მოვიდა ღლონტი ამ დღეს და სხვებთან ერთად ივახშმეს და შემდეგ ღლონტი ტფილისისაკენ წამოვიდა. 20 ოქტომბერს 1902 წლისა ქორწილი გადაუხდია იასე ნიკოლაიშვილს, რომელსაც და გაუთხოვებია. მიწვეული ჰყოლია 600 სტუმარი ამ დღეს სუფრის გამგედ, თავკაცად, ყოფილა პავლე მახარაძე. პავ. მახარაძისა, ელ. ესაძისა, გ. ანდღულაძისა, ჭინჭარაძისა, ი. ნიკოლაიშვილისა, მ. გოგიტიძისა და სხვ. ჩვენებით ბრალდებული ისიდორე მახარაძე 20 ოქტომბერს ამ ქორწილში ყოფილა. 18 და 19 ისიდორე მახარაძე გაუგზავნიათ ოზურგეთს გ. ანდღულაძესთან ერთად სანოვაგის სასყიდლად ქორწილისათვის. ის. მახარაძე ნიკოლაიშვილს ქორწილში ეხმარეობოდა 18 ოქტომბრიდან 21-მდე. იგი 200 კაცზე მეტს უნახავს იქ. მოწმეებმა ნესტ. დოლიძემ ანტ. ნაკაიძემ ელ. დოლიძემ, მალიაშვილმა, თაყაიშვილმა და სხვებმა აჩვენეს, რომ ბრალდებული ჭელიძე 12 ოქტომბრიდან თვის ბოლომდე ფიცრებს ჰხერხავდა იოსებ დოლიძის ტყეში; დაიქირავა ამ იოსებ დოლიძემაო. ანტ. ნაკაიძემ 22 ოქტომბერს დოლიძის ტყეში დოლიძისაგან იყიდა და წამოიღო საწნეხელი. მაშინ ჭელიძე უნახავს იქ სხვა მუშებთან ერთად. ივანე ჩხაიძე, ს. თოფურიამ, ისიდორე ქარცივაძემ, ქ. ღლონტმა და სხვათა ჩვენებით, თათარხან მამულაიშვილი 6 ოქტორმბრიდან თვის დამლევამდე ციებით იყო ავად. იმდენად მისუსტებული ყოფილა, რომ იმას ერთი ოთახიდან მეორეში გავლა თუ შეეძლოდ მხოლოდ.

მოწმეთა ჩვენება დასრულდა 16 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე.

გუშინ, 17 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ტფილისის ოლქის სასამართლომ უკვე გამოაცხადა ამ საქმის შესახებ თავისი განაჩენი. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ხუთივე ბრალდებული და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლება-ღირსებათა ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა: მიხეილ ნაცვლიშვილს, კოწია ჭელიძეს, ისიდორე მახარაძეს და მილორდ ღლონტს 15 წლით, ხოლო თათარხან მამულაიშვილს 10 წლის ვადით.

II

დღეს, 18 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია მარტყოფისა და ზედაზნის მონასტრის გაძარცვის საქმე. პასუხის გებაში მიცემულნი არიან: ტატო გაბაშვილი, გიორგი დოლიძე, ივანე თოთიბაძე, რაჟდენ ცეცხლაძე, ილია თოხაძე, ირაკლი თოიძე, გრიგოლ მამულაიშვილი, ოჰანეზ ტერ-ვართანიანცი და ნიკოლოზ სალუქვაძე. ამ საქმის გამო დაბარებულია 160-მდე მოწმე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

## 16 დეკემბერი

**სევასტოპოლი.** საბერძნეთის დედოფალი გაემგზავრა საბერძნეთს იახტა „ამფიტრიდა“-თი.

**რიგა.** გამოვიდა პირველი ნომერი ყოველდღიურ გაზეთის „რიჟსკია ვედომოსტი“-სა.

**სიმბირსკი.** დიდის ამბით აკურთხეს სათავადაზნაურო თავშესაფარის პანსიონი, რომელშიაც შეიძლება 60 კაცის მოთავსება.

**რომი.** მეფემ სადღესასწაულო აუდიენციაზე მიიღო ელჩი თავადი ურუსოვი, რომელმაც რწმუნების ქაღალდები ჩააბარა.

**სტამბოლი.** საბოლაოდ გადასწყდა, რომ მაკედონიის მთავარ უფროსს დაენიშნება სამი თანაშემწე პოდპოლკოვნიკი, ამათ შორის ერთი რუსი, ერთი ავსტრიელი და ერთიც ინგლისელი.

**რიაზანი.** საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ პირველ-დაწყებით სკოლებში კურს-დამთავრებულნი რაზმის დაკვრისაგან განთავისუფლდნენ.

**ლონდონი.** „მორნინგ პოსტ“-ი დაბეჯითებით უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომ იაპონიას თავის უკანასკნელ ნოტაში რუსეთისათვის ვადა დაენიშნოს პასუხის მისაცემად.

**ტოკიო.** საიდუმლო საბჭომ მოიწონა მთავრობის გარდაწყვეტილება, რომ სეულ-ფუსანის რკინის გზა დაჩქარებით იქმნას გაყვანილი. ეს განკარგულება ერთსა და იმავე დროს რკინის გზისა და იაპონიის სხვა ინტერესების დასაცველად საჭირო სამხედრო ხარჯებსაც შეეხება.

**რომი.** მაკედონიის ჟანდარმერიის მთავარ უფროსად დანიშნული იქნება გენერალი სისმონდო.

**პეკინი.** ლიენფანგნი რუსეთის ელჩ ლესართან იყო და სთხოვა, მანჯურიიდან ჯარის გაყვანის შესახებ რუსეთის აზრი მაცნობეო. ლესარმა უპასუხა, ახლა ჯარის გაყვანა ორი მიზეზისა გამო შეუძლებელიაო: პირველი—სიცივეები დადგა და შეუძლებელია ჯარის გაყვანა, რადგან, სადგომების უქონლობისა გამო, სხვა რომელსამე ადგილას ჯარის დაბინავება არ შეიძლება და, მეორე—ჯარის გაყვანას ამ ჟამად შეუძლია ავნოს რუსეთის ინტერესებს, რადგან ახლა, როდესაც ჯერ კიდევ არ არის გათავებული იაპონიასთან მოლაპარაკება, უკანასკნელს შეუძლია მანჯურია დაიჭიროს. ჩინეთის მთავრობა ისეა შეშფოთებული, რომ მანჯურიაში რუსეთის კონტროლს ამჯობინებს. ჩინეთის სამინისტრომ უცხოელ ელჩებს განუცხადა, ჩინეთი სრულიად კმაყოფილი იქმნება, თუ რუსეთი და იაპონია დაიცავენ ხელ-შეკრულობით მოპოვებულ თავიანთ ეხლანდელ უფლებათა კორეასა და მანჯურიაში და არ ეცდებიან ამ ქვეყნებში მეტს უპირატესობის მოპოვებასაო.—რუსეთის უფროსმა მუკდენში უბრძანა თათარ გენერალს, თათრების მილიცია დაითხოვეთ და იარაღი ჩამოართვითო. თათრის გენერალმა შესაფერი განკარგულება მოახდინა.

## 17 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ირკუტსკის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის საქმის მწარმოებელი მიშინი დაინიშნა ირკუტსკის ვიცე-გუბერნატორად.

**ლონდონი.** „დეილი ქრონიკ“-ს გაუგია, რომ არგენტინის ჯავშნიანი გემები „მორენო“ და „რივადარია“ იაპონიას შეუძენია. ამ გემების ყიდვა რუსეთის მთავრობასაც სდომებია, მაგრამ ნაკლები ფასი შეუძლევია.

**პეკინი.** იუანშიკაის თათბირი ჰქონია იაპონიის მოხელეებთან და უთხოვნია, იარაღი და სასროლი მასალა ერთ მილიონ ტაელისა, მაგრამ იაპონიას უთქვამს, არ შემიძლია ამის დაკმაყოფილებაო. იუანშიკაი ალბად ევროპის მექარხნეებს მიმართავს.

**რომი.** გერმანიის წარმომადგენლები სავაჭრო ხელშეკრულობის შესაკრავად 19 დეკემბერს ჩამოვლენ რომს.

**ბერლინი.** იმპერატორი ვილჰელმი 20 დეკემბერს ცოტას ხნით იტალიას გაემგზავრება.

**ტოკიო.** განკარგულება გამოვიდა, რომლის ძალითაც მთავრობას ნება აქვს, სამხედრო საჭიროებისათვის იმდენი ფული დახარჯოს, რამდენსაც მოისურვებს კიდევ სამი განკარგულება გამოვიდა: პირველი, სეულიდან—ფუზანამდე რკინის გზა მთავრობამ აიღო ხელში; მეორე, რადგან ომი მოსალოდნელია, მხედართ მთავრისა და შტაბის ბინა დანიშნულია და მესამე—სამხედრო საბჭო იქმნა დაარსებული. ამით იაპონიამ დაამთავრა თავისი მომზადება ომისათვის.

**ნიუ-იორკი.** რუსეთი და იაპონია დიდ-ძალ ხორცს ყიდულობენ.

**ჩიკაგო.** იაპონიამ სან-პოლში იყიდა 100 ათასი ბოჭკა ფქვილი: ნორფოლკში უყიდნია საუკეთესო ქვა-ნახშირი 11,500 ტონი (700 ათას ფუთამდე), რომელსაც უკვე გემებში ტვირთავენ.

**ეკატერინოსლავი.** ერობამ დაადგინა, ეს გუბერნია ოდესის სამოსწავლო ოლქიდან ხარკოვისაში გადარიცხონ.

**ხარკოვი.** საგუბერნიო საერობო კრებამ გადასდო 29 ათასი მანეთი მცირე-წლოვან ობლების მზრუნველ საზოგადოების დასახმარებლად და ათასი მანეთი სამკურნალო საზოგადოებისათვის ქუნთრუშის საწინააღმდეგო შრატის მოსამზადებლად.

**სოფია.** (მთავრობის წრეებიდან) ტყუილია ის ხმა, ვითომ მთავარს ფერდინანდს მიენდოს პეტერბურგში ბოლგარიის აგენტის სტანჩევისათვის, რუსეთის იმპერატორს ჩემი წერილი წარუდგინეო.

**ახალქალაქი.** „ზაკასპიისკოე ობოზრენიე“ უარჰყოფს სომხურ გაზეთ „ნორ-დარ“-ის მიერ გავრცელებულ ცნობას, რომელიც ბევრ რუსულ გაზეთებსაც გადაუბეჭდია, ვითომ ასხაბადის პროვინციაში სპარსელების წინააღმდეგ აჯანყებულ თურქმენების დასახმარებლად მიდიოდნენ კასპიის იქითა მხარეში მცხოვრებნი თურქმენები; ნამდვილად-კი აჯანყებულ თურქმენების საშველად მიდიან ის თურქმენები, რომელნიც სპარსეთის ტერიტორიაში სცხოვრობენ. კასპიის იქითა მხარეში მცხოვრებნი თურქმენები-კი სრულებით არ ერევიან ასხაბადის პროვინციაში მომხდარ აჯანყებაში.

**პეკინი.** სამის ცენტრალურ პროვინციების ვიცე-კოროლებმა მთავრობას აცნობეს, რომ ჩვენს განკარგულებაში უცხოელ ოფიცრების მიერ გაწვრთნილი 90 ათასი ჯარის კაცი არისო.

---

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

# განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ გამოცემული

**კედლის კალენდარი**

1904 წლის. ფასი 70 კაპ.

კალენდარი დასურათებულია.—კალენდარში აღნიშნულია ისტორიული მოვლენანი.—დაბეჭდილია ბიოგრაფიები ქართველ და უცხოეთის მწერალთა და მოღვაწეთა, ცნობები საქართველოს ისტორიისა და მწერლების შესახებ, ცნობები მსოფლიო ისტორიიდან და სხვა მრავალი გამოსადეგი ცნობები.

კალენდარი დიდი ფორმატისაა (როგორც „Кавк. кален.“)

**საქართველოს კალენდარი**

გამოვა საშობაოთ. (3—უ—4)

---

**ქუთაისში**

ექიმ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

---

**მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის**

ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულ

XXI წ. **„მწყემს“**-ზე XXI წ.

და

**რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე**

**ჟურნალის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ | 3 მ. | 6 თვით „მწყემსი“ | 2 მ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით — | 4 მ. | — „ რუსული „ | 2 „ |
| — „ რუსული „ | 3 მ. | — „ ორივე გამოცემა | 3 „ |
| ორივე გამოცემა | 5 მ. | | |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში**, რედაქციაში; **ქუთაისში** ბ-ნ ესტატე ლომბაშიძესთან, **ტფილისში** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. **ახალსენაკში**—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარიშვილთან.

სოფლის სასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დ. **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან. (შ. 3—2)

---

გამოცდილი

**მასწავლებელი,**

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—13)

---

Առաջիկայ 1904 Թուի յունվարի 15-ից

ԿԸ ՎԵՐՍԿՍՎԻ

**ՄՇԱԿ**

ԼՐԱԳՐԻ ՀՐԱՏԱՐԱԿՈՒԹԻՒՆԸ

«ՄՇԱԿԸ» ԿԸ ՀՐԱՏԱՐԱԿՎԻ ՆՈՅՆ ՊՐՈԳՐԱՄՈՎ ԵՒ ՆՈՅՆ ՈՒՂՂՈՒԹԵԱՄԲ

ամեն օր, բացի տօներին յաջորդող օրերից

ԲԱԺԱՆՈՐԴԱԳԻՆԸ. «Մշակի» տարեկան գինը յունվարի 15-ից մինչեւ տարւոյ վերջը 10 րուբլի է, տասն և մէկ ամսվանը նոյնպէս 10 ր. և մի ամսվանը 1 րուբլի։ Ամերիկայի բաժանորդները պէտք է վճարեն տարեկան 6 դոլլար. Եւրոպայի բաժանորդները 30 ֆրանկ. Պարսկաստանի բաժանորդները 10 րուբլի։ Պէտք է դիմել հետևեալ հասցէով ТИФЛИСЪ, Редакція «МШАКЪ», կամ արտասահմանից TIFLIS, Rédaction du journal «MSCHAK».

Յայտարարութիւնները ընդունվում են բոլոր լեզուներով

Առաջին համարը լոյս կը տեսնէ, Հինգշաբթի օր, յունվարի 15-ին

ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т-ва